ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3908241

ნომერი: AR1586696

თარიღი : 20.03.2018

გაცემის თარიღი : 12.04.2018

გაცნობის თარიღი : 12.04.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტრო სადგური "რუსთაველი" , (ნაკვ.11/5);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევანი შელია პ/ნ 01017027647
- თბილისი ლ.ქიაჩელის ქ. N 5/7

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 20 მარტის №AR1586696 განცხადებით მომართა ლევანი შელიამ თანაგანმცხადებელ გიორგი ნაცვლიშვილთან ერთად და ამავე სამსახურის 2013 წლის 21 აგვისტოს №857451 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანა მოითხოვა. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ამავე სამსახურის 2013 წლის 21 აგვისტოს №857451 გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ნიკოლოზ გაბელაიას 2013 წლის 05 აგვისტოს №AR1151971 განცხადება და დადასტურდა ქ. თბილისში, №01.15.02.011.005 საკადასტრო ერთეულზე, მეტრო სადგურ "რუსთაველის“ სახურავზე სარეკლამო კონსტრუქციის განთავსების შესაძლებლობა.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-19 მუხლის თანახმად, შენობა-ნაგებობები და სამშენებლო სამუშაოები მშენებლობის ნებართვის გაცემისა და ექსპლუატაციაში მიღებისათვის, იყოფა 5 კლასად, ამათგან I კლასის მშენებლობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე სამსახური გასცემს წერილობით დასტურს, ხოლო II-V კლასის მშენებლობებზე გაიცემა მშენებლობის ნებართვა.

ზემოაღნიშნული დადგენილების შესაბამისად, მშენებლობის ნებართვა გაიცემა სამ ეტაპად: I სტადია – ქალაქთმშენებლობითი პირობების დადგენა, II სტადია – არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის შეთანხმება, III სტადია – მშენებლობის ნებართვის გაცემა. ამავე დადგენილების მე-20 მუხლის თანახმად, დამკვეთს (მშენებლობის ნებართვის გაცემისათვის), პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან განსათავსებელი შენობა-ნაგებობის მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

სამსახურის 2013 წლის 21 აგვისტოს №857451 გადაწყვეტილება წარმოადგენს I კლასის მშენებლობის განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე წერილობით დასტურს.

სამსახურის 2013 წლის 21 აგვისტოს №857451 გადაწყვეტილების სატიტულო ინფორმაციაში დაფიქსირებული დამკვეთი-განმცხადებელი და ორგანიზაცია წარმოადგენს ინფორმაციული ხასიათის ჩანაწერს 2013 წლის 05 აგვისტოს №AR1151971 განცხადებიდან გამომდინარე. შესაბამისად, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება სამსახურის 2013 წლის 21 აგვისტოს №857451 გადაწყვეტილებაში.